The views expressed in this essay are those of the author and do not necessarily reflect the views of the United Nations Economic Commission for Europe, the Georgian Government or any Georgian authorities.

ტატიანა სირაძე, 90 წლის, ქობულეთი (Tatiana Siradze)

ტატიანა სირაძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონში 1923 წელს. შვიდწლედი იქვე დაამთავრა და სწავლა ოზურგეთის სამედიცინო სასწავლებელში განაგრძო. 1941 წლის 26 ივნისს ფრონტზე გაიწვიეს, სადაც ოთხი უმძიმესი წელი გაატარა, სამედიცინო-სანიტარული ათასეულის უფროსი ექთანი იყო ომის ბოლომდე. საკმაოდ გრძელია მისი საბრძოლო ჯილდოების ნუსხა: წითელი ვარსკვლავის ორდენი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენი, უამრავი მედალი...

ომის შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი და ექიმის დიპლომით გაანაწილეს ქობულეთში, სადაც ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზურ სანატორიუმში, პენსიაში გასვლამდე იმუშავა. 45 წელი მკურნალობდა ბავშვებს და, ვინ იცის, რამდენი მოზარდი დააყენა ფეხზე. ბოლო ორი ათწლეული სანატორიუმის მთავარი ექიმი გახლდათ. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. მიღებული აქვს ხალხთა მეგობრობის ორდენი. არის ,,საპატიო ქობულეთელი''.

ვეტერანი ქალბატონი დღესაც ენერგიულად ირჯება. არის შესანიშნავი კულინარი, უყვარს მუსიკა, კითხვა, ყვავილების მოვლა, აინტერესებს პოლიტიკა. არის მზრუნველი დედა და ბებია. 2009 წელს დააარსა ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია ,,ღირსეული სიბერე'' და ოცნებობს, რომ ყველა ხანდაზმულ ქალს ჰქონდეს სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრება.

„ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყნის ხანდაზმული ადამიანისთვის დარჩენილი ცხოვრება იყოს არა სიცოცხლის დასასრულის მოლოდინი, არამედ სრულფასოვანი ცხოვრების კანონზომიერი ეტაპი. გვინდა, მხარი დავუჭიროთ ერთმანეთს, ვაგრძნობინოთ სითბო და სიხარული, ვიზრუნოთ უძლურ და ხანდაზმულ ქალებზე. გვსურს, გვქონდეს განცდა, რომ საზოგადოებას ვჭირდებით.

ასევე გვსურს განვაცხადოთ ხანდაზმულთა პრობლემების შესახებ, ვიბრძოლოთ ხანდაზმულთა უფლებებისთვის. შეგვიძლია ჩვენი რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკუთარი თავისა და სხვების დასახმარებლად. უმცროს თაობას გავუნაწილოთ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. სამიზნე ჯგუფი და ჩვენი პრიორიტეტები არიან სოციალურად დაუცველი, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული მარტოხელა ხანდაზმული ქალები, რომელებიც სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან მივიწყებულნი არიან და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება“.

Tatiana Siradze, 90, Kobuleti

Tatiana Siradze was born in Chokhatauri, in 1923. She graduated there after seven years at school and continued her studies at the Medical School. On June 26, 1941, she was called up to the front, where she spent four of the toughest years of her life; she was a medical/sanitary nurse at the end of the war. Her list of military awards is long, including the Order of the Red Star and I Class Order of the Patriotic War.

After the war, she graduated from Tbilisi State Medical Institute, Department of Pediatrics, and, with a doctor's diploma, she moved to Kobuleti, working in the children's bone/joint tubercular sanatorium, where she worked until her retirement. She treated children for 45 years - who knows how many teenagers she healed! In the last two decades of her working life, she was the chief doctor of the area. She was awarded the title of Honoured Doctor and received the Order of Friendship of People. She is an Honorary Citizen of Kobuleti.

Tatiana Siradze is still working enthusiastically. She is an excellent cook, loves music, reading and taking care of flowers, and is interested in politics. She is a caring mother and grandmother. In 2009, she founded the Aged Women's Association 'Deserving Old Age' and she dreams that all older women will have a full and dignified life.

"We would like the lives of older people in our country not to be filled with the expectation of life ending but for old age to be seen as a logical phase of a normal life. We want to support each other, to create warmth and joy, to care for weak and elderly women. We would like to have a feeling that the community needs us.

We would like to talk about the problems of the elderly and to fight for their rights. We can use our resources to help others and ourselves. We want to share our accumulated knowledge and experience with the younger generation. We want to target groups such as the socially disadvantaged, those who are deprived of family care, and older single women, who are often left out of the state and society, and their number is increasing every day."